№ 270. 21 დეკემბერი, კვირა. 1866—1880 21 დეკემბერი. კვირა № 270

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებ-ში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროების“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ხელის-მომწერთათვის: Въ Тифлисъ, въ ре[дакцію] „Дроэба“-„Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად. | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

ფასი განცხადებისა

ერთი ასოიანი ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივზე ასოთი სტრიქონზე სხვა კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეორედ კაპ.

თუ ხელმოწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება იბეჭდება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

„დროება“-„ივერიის“

## ალბომი

მომავალ 1881 წლის განმავლობაში „დროება“-„ივერიის“ რედაქცია თავის წლიურ (მთელი წლის) ხელის-მომწერლებს უფასოდ დაურიგებს მხატვრობის ალბომს, რომელსაც უსასყიდლოდ გვიხატავს ჩვენი ახალგაზდა ნიჭიერი მხატვარი ალექსანდრე ბერიძე.

მხატვრობა და ტექსტი ალბომისა დაბეჭდილი იქნება იტალიაში თვითონ ბერიძის ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით.

ალბომში იქნება შემდეგი სურათები:

1. თამარ-დედოფალი, 2. ერეკლე მეფე, 3. შოთა რუსთაველი, 4. ალექსანდრე ჭავჭავაძე, 5. მარი ბროსსე, 6. ორი სურათი „ვეფხვის-ტყაოსნიდამ“, 7. მცხეთის მონასტერი, 8. გელათის მონასტერი, 9. უფლის-ციხის ნანგრევები, 10. პეიზაჟები, 11. ჩვენი ხალხის ტიპები და სხვ.

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**სტამბოლი**, 19 დეკემბ. ოსმალეთის მთავრობამ თავის უცხო ქვეყნის ელჩებს გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც აცხადებს, რომ ის თანხმა არ არის მედიატორეთ სამართალს მიანდოს განსახილველად საბერძნეთთან მიჯნების საქმე. ამის ნაცვლად პორტას არავითარი ახალი წინადადება არ შემოაქვს.

**პეტერბურღი**, 19 დეკ. პეტერბურღის ფრანცუზულს გაზეთში ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ჩინეთის ელჩთან მენგთან მოლაპარაკება პეტერბურღში გათავებულია და ახლა მორიგების პირობათა დამტკიცებას თვითონ ჩინეთის (პეკინის) მთავრობისაგან მოველით.

**ლონდონი**, 19 დეკ. დღეს იქნება მინისტრთა რჩევა.

**პეტერბურღის ბირჟა**, 19 დეკემბერს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — — | 95 | 50 |
| მეორესი — — — — — | 92 | 87 |
| მესამესი — — — — | 93 | 25 |
| მეოთხესი — — — — | 92 | 87 |
| აღმოსავლეთის პირვ. — — | 91 | „ |
| აღმოსავლეთის მეორე — | 90 | 75 |
| აღმოსავლეთის მესამე — | 91 | „ |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი — — | 8 | 6 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | „ | „ |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 225 | 5 |
| მეორე სესხის — — — | 219 | 5 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 24—94 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 212—62 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 263— | „ სანტიმი |
| ვენა — — — | 129—50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

## უნივერსიტეტი თუ პოლიტეხნიკური ინსტიტუტი?

ტფილისი, 20 დეკემბერს.

ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ჩვენს ქვეყანაში ან უმაღლესი პოლიტეხნიკური სასწავლებელი, გაიხსნება და ან უნივერსიტეტი, ორივეს ერთად კი ჯერ კიდევ დიდ ხანს ვერ ეღირსება კავკასიაო.

მომეტებული ნაწილი ჰფიქრობს, რომ, რადგან პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის თაობაზედ კამისია არის შემდგარი, რომელსაც მინდობილი აქვს ამ საგნის შესახებ პროექტის შემუშავება, ამიტომ უეჭველიაო, რომ პოლიტეხნიკური ინსტიტუტი მალე გაიხსნება ჩვენშიო და კავკასიის უნივერსიტეტის დაარსებამდინ კი ჯერ ბევრი წყალი ჩაივლის მტკვარშიო.

ზოგიერთები იმასაც ამბობენ, ვითომც პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის გამართვას იმიტომ უჩქარიანო, რომ ამით დააკმაყოფილონ საზოგადო მოთხოვნილება და სხვა უმაღლეს სასწავლებლის (ესე იგი უნივერსიტეტის) გახსნა შორეულ მომავალისთვის, „სა-როდისმედ“ გადადვანო.

ჩვენ არ გვჯერა ამ გვარი მოსაზრება. არ გვჯერა იმიტომ, რომ პოლიტეხნიკურ ინსტიტუტსა და უნივერსიტეტს შუა საერთო თითქმის არა არის-რა, ერთი მეორის ადგილს ვერ დაიჭერს და ჩვენს ქვეყანას როგორც ერთი, ისე მეორე დიდი ხანია ეჭირება, დიდი ხანია მოველით და ვერ ვღირსებივართ უმაღლეს სასწავლებლების დაარსებას.

ამას გარდა პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს თვითონ მთავრობა ხსნის თავის სურვილითა და თაოსნობით. ეს კეთილი აზრი პირველად ახლანდელი ჩვენი ქვეყნის სწავლა-განათლების გამგეს ბატ. იანოვსკის მოუვიდა თავში და ისევ ცდილობს ამის სისრულეში მოყვანას,—შეასრულებს კიდეც უეჭველია, და ამით საზოგადო თანაგრძნობასა და მადლობასაც დაიმსახურებს. უნივერსიტეტის გამართვა და დაარსება კი თვითონ ჩვენმა საზოგადოებამ განიზრახა, საზოგადოებამ გამოაცხადა სურვილი ამის ნივთიერად დახმარებისა, თფილისისა და ქუთაისის საზოგადოებამ შესწირა ამ საგნისათვის 140,000 მანეთი ფულად და ამასთანავე ადგილი შენობის ასაგებად.

უეჭველია, რომ მთავრობა მიიღებს მხედველობაში ამ საზოგადოების საქებურ და კანონიერ სურვილს და ეცდება, რაც შეიძლება მალე დააკმაყოფილოს ის. ამ შემთხვევაში ჩვენ გვამხნევებს და გვაიმედებს ციმბირის უნივერსიტეტის მაგალითი: იქაც პირველად საზოგადოებაში აღიძრა სურვილი ამ უმაღლესის სასწავლებლის გახსნისა; იქაც საზოგადოებამ შესწი-

„დროების“ ფელტონი, 21 დეკემბ.

## ოცნება

—

დაღალულს დედას, ზღვის პირას
მჯდომელს,
ხელო ეპყრა შვილი ჩაძინებული.
აღელვებულ ზღვას უმზერდა ჭმუნვით,
ქარიშხალთ ქროლით შეშინებული.

—

ზღვა აღტყენილი ზვირთებს ისროდა,
ნაპირთ ანძრევდა, იმუქრებოდა;
და ნავთ-სადგურთან ანძ-დამსხვრე-
ული
ნავი დაბმული იღუპებოდა...

—

ცა მოიღრუბლა საოცრად ქუფრად,
ნისლმა დაფარა მთლად არე-მარე!
შეშფოთებული ცრემლებსა ღვრიდა,
არსაიდ არს ჩნდა კაცი მომხმარე.

—

ამ შიშისაგან ათრთოლებული
გაშტერებული მიწას უმზერდა,
სლოცდა გულში მხურვალის ლოც-
ვით,
თვის გამჩენს დახსნას ეხვეწებოდა...

—

იგრძნო მან შემდეგ გულის სიმ-
ხვიდე;
ღონე მიეცა და გაიხედა:
ზღვის იქით ნათლის შუქი გამოჩნდა!
მშვიდათ წამოდგა, მიმოიხედა.

—

„—აი, იმედი! შვილო, გაფხიზლდი!“
დედა ჩასძახდა მძინარე ყრმასა.
„ღმერთი მომასწრებს შენს ვაჟ-კა-
ცობას,
„მტერზედ თამამად იქნევდე ხმალსა!

—

„დაჩაგრულს მამულს ეხმარებოდე,
„ემსგავსებოდე მამა-პაპასა.

კნ. ნ. ორბელიანისა.

15 დეკემბერს 1880 წ.

## წერილები საფრანგეთიდგან

### პარიჟის თეატრები

### IX

გუშინ-წინ *Comédie Française*-ის თეატრში პირველად წარმოადგინეს ოგიუსტ ვაკერის დრამა „ჟან ბოდრი.“

მშვენიერი წარმოდგენაც იყო და გასაოცარი შთაბეჭდილებაც იქონია საზოგადოებაზე.

მთელის თვით წინ ემზადებოდნენ აქაური გაზეთები და საზოგადოება ამ დრამის საცქერლად. ყოველ დღეს გაზეთებში წაიკითხავდი, რომ „ჟან ბოდრის“ რეპეტიციები მშვენიერად მიდის, რომ პირველ წარმოდგენაზე დაესწრებაო გრევი, გამბეტა და ყველა მინისტრები, რომ ვიკტორ ჰუგო, რომელიც ძალიან იშვიათად დადის თეატრში, ამ დღეს იქნება და მოისმენს თავის სიძის ვაკერის მშვენიერ თხზულებასაო და სხვ. და სხვ.

მოგახსენებთ შინაარსს ამ დრამისას:

მდიდარს ვაჭარს ბრუელს გამართული აქვს ვაჭრობა სხვა-და-სხვა სახელმწიფოებთან და საქონელს გზავნის გემებით. ამას ჰყავს ერთი მშვენიერი, კარგათ გაზდილი და ჭკვიანი ქალი ანდრე, რომელსაც უყვარს დოქტორი ოლივიერი. ამ უკანასკნელის ვინაობა არავინ არ იცის: ვისი შვილია, სადაურია და სხვ. მხოლოდ იციან, რომ ძალიან კარგი ექიმია და სწავლული ყმაწვილი კაცი.

ჟან ბოდრი არის მდიდართაგანი ბურჟუა, ფილანტროპი, რომლისგანაც ბრუელი გაიგებს პირველ მოქმედებაში, რომ მისი გემი „ნეპტუნი“ დაიღუპა. ეს ამბავი ბრუელს ზარს დასცემს თავზე და ღონე მიხდილი წამოიძახებს:—დავიღუპე, გავკოტრდი და ვაუპატიურებული დავრჩიო! მაშინ ჟან ბოდრი მიაწოდებს თავის ქისას და ეუბნება, რომ მე მეგობარი

რა იმის დასაარსებლად ფული და სხვა შემწეობაც აღმოუჩინა. მთავრობამ ეს სურვილი შეიწყნა არ დაბოლოს, მარმან ციმბირის უნივერსიტეტის საძირკველი ჩაჰყარეს.

ნუ თუ ჩვენი მხარე ციმბირზე უფრო ნაკლებ საჭიროებას გრძნობს უმაღლესს სწავლა-განათლებისას? ნუ თუ კავკასიაში სწავლა-განათლების წინ-წაწევით რუსეთი უფრო მომეტებულ ყოველ მხრივ სარგებლობას არ უნდა მოელოდეს, ვიდრემ თავის დიდი იმპერიის სხვა რომელიმე კუთხისა? ეს მდიდარი, მაგრამ ხელ-უხლებელი ბუნება ვისგან უნდა მოელოდეს ხელის-ხლებას, შემუშავებას, ცხოვრებაში გამოყენებას, თუ არ ნასწავლ კაცებისაგან, რომელნიც უმაღლესს სასწავლებელში შეასრულებენ განათლებ სა?

ამ ნაირად, ვიმეორებთ: კავკასიას როგორც უნივერსიტეტი ისე პოლიტეხნიკური ინსტიტუტი ეჭირება და ყველას იმედი აქვს, რომ მთავრობა დიდ ხანს არ გვაცდევინებს, რომ ეს საზოგადო მოთხოვნილება დააკმაყოფილოს და ამით ნაყოფი ჩვენც გვარგოს და თვითონაც ირგოს.

## ახალი ამბები

—

თითქმის სამი კვირის განმავლობაში განხილვის შემდეგ, ბოლოს 15 ამთვის თფ. სამხედრო სასამართლომ გარდასწყვიტა პოლკოვნიკის ბარონ უნგერ—შტერნბერგის, პოდპოლკოვნიკების ტკაჩოვისა და კრასნოვსკის და სოტნიკის შევჩენკოს საქმე, რომელთაც გასულ ომიანობის დროს სახელმწიფო ფულების შეჭმას აბრალებდნენ. სასამართლომ ტკაჩოვი, კარასნოვსკი, და შევჩენკო სრულიად გაამართლა და უნგერ-შტენბერკი დამნაშავედ იცნო და გარდაუწყვიტა იმას ყოველი ღირსების, ჩინებისა და ორდენების ჩამოხდა და სამარის გუბერნიაში საცხოვრებლად გაგზავნა. მაგრამ ამასთანავე სასამართლომ მიიღო მხედველობაში ზოგიერთი შესაწყნარებელი გარემოებანი და გარდაწყვიტა—ხელმწიფე იმპერატორთან იშუამდგომლოს რომ უნგერნ-შტერნბერგი გარდაყენებული იქმნეს მხოლოთ სამსახურიდამ.

* * *

დღეს, კვირას, პირველ საათის ნახევარზე, თფილისის სავაჟო კლასიკურს გიმნაზიაში იქნება შაგირდების „მუზიკალური დილა“, რომელშიაც მხოლოთ ამ გიმნაზიის შაგირდები მიიღებენ მონაწილეობას. მუზიკალურ ნაწილს გარდა; რამდენიმე შაგირდი წაიკითხავს კიდევ ზოგიერთ რუსულ ლექსებს.

* * *

რუსულ გაზეთს „თფ. განცხადებათა ფურცელში“ დაბეჭდილია, რომ გორის ქალაქის თავობის კანდიდატად სამი პირი არისო: 1) ამოროვი, ადრინდელი წევრი ქალაქის გამგეობისა, რომელმანც ვერ დაიმსახურა საზოგადო თანაგრძნობაო, 2) ახალ-გაზდა ბულიშამბავი, რომელმანც ყველაზე უკეთ იცის გორის ქალაქის საქმეები და 3) ბუღალტერი კერესელიძე. ჯერ არ იციან—რომელ ამათგანს მისცენ უპირატესობაო.

* * *

გუშინ-წინ ჩვენს ქალაქში დიდის ამბით დაასაფლავეს ესე უდროვოთ გარდაცვალებული პოდპოლკოვნიკი აბრამ მიხეილის ძე ენიკოლოფოვი.

ამ ენიკოლოფოვების შთამომავლობის შესახებ ერთმა ძველ ამბების მცოდნე საპატიო პირმა გვიამბო ჩვენ შემდეგი საინტერესო ამბავი:

მეფე ირაკლის დროს სპარსეთიდამ სხვათაშორის ჩამოსულა ქალაქში ერთი სომეხი, სახელად მირზა ბურგენ, რომელიც ძალიან ჭკვიან და ენა-მჭევრელ კაცად ითვლებოდა და რომელსაც მეფე ხშირად უცხო ქვეყნებში გზავნიდა თურმე დესპანად.

როდესაც იმპერატრიცა ეკატერინესა და ერეკლეს შუა პირველად მეგობრული განწყობილება ჩამოვარდა, ხონთქარს არ ეჭაშნიკა თურმე ეს ამბავი და ახალ-ციხის ფაშას და სხვა მეზობლებს აქეზებდა, რომ საქართველოზედ ამხედრებულიყვნენ.

ამ საგნის შესახებ ერეკლემ მოახდინა რჩევა, რომელზედაც ჰქონდათ მოლაპარაკება—თუ როგორ მოქცეულიყვნენ გარდაწყვიტეს, რომ ხონთქართან გაგზავნონ დესპანი და ეცადნენ იმის გულის დამშვიდებას. დესპანის ამორჩევაზედ რომ სჯა ჩამოვარდა, ზოგიერთ კარის კაცებმა სთქვეს თურმე, რომ რატომ სულ სომხებს ვგზავნით ელჩებად, ერთხელაც არის ქართველი ვაგზავნოთო. მეფეს ეთქვა, რომ სომეხი უფრო გამოცდილი, მოხერხებული ხალხია და ამგვარ საქმეებში ესენი ყველაფერს მოახერხებენო; მაგრამ, თქვენი ნებაა, თუ გნებავთ ამ ჯერობით ქართველი გავგზავნოთ ხონთქართანაო.

და მართლაც თ. ბოგია ციციშვილი გაგზავნეს. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ბოგია ციციშვილი ხელცარიელი დაბრუნდა თფილისში, ვერაფერი ვერ გაერიგებინა.

მეფემ მოიხმო ხელ-ახლად კარისკაცები და გამოუცხადა იმათ ეს სამწუხარო ამბავი, თან უთხრა: ხომ ვამბობდი, რომ თუ არ სომეხი, ამისთანა საქმეს ჩვენ სხვა ვერავინ გაგვირიგებსო!

მაშინ გადაწყვიტეს იმ ზემოხსენებულ მირზა-ბურგენის გაგზავნა ხონთქართან.

მირზა-ბურგენს თავიდამვე ისე წაეყვანა საქმე, რომ ჯერ მთავარვეზირს დიდის პატივის-ცემით მიეღო, მერე თვითონ ხონთქარს გამოეცხადებინა სურვილი იმის ნახვისა და იმასთან ლაპარაკისა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ორი თუ სამი თვის შემდეგ მირზა-ბურგენი დაბრუნდა ქალაქში დიდ-ძალი საჩუქრები ჩამოუტანა მეფეს, ბატონის-შვილებს და კარის-კაცებს ხონთქრისაგან. ხონთქარი ისე დაელობო მირზა-ბურგენის ტკბილ ლაპარაკს და რწმუნებას, რომ ერეკლე მეფეს თქვენ წინაალმდეგ არავითარი ბოროტი განზრახვა არა აქვსო, რომ იმწამსვე ახალციხის სულეიმან-ფაშისა და სხვებისათვის გაეგზავნა ფირმანი, არამცა-და-არამც ჩემი მეგობარი მეფე ირაკლი არ შემიწუხოთო.

როდესაც ყველა ეს სასიამოვნო ამბავი და საჩუქრები ჩამოიტანა მირზა-ბურგენმა, მეფემ გარდაკოცნა თურმე ის და სთქვა:

— მირზა-ბურგენ „ენის-კოლოფი“ არისო! და აჩუქა იმას დიდი მამულები ბორჩალოში.

ამის შემდეგ მირზა-ბურგენის შთამომავალთ „ენის-კოლოფი“, „ენიკოლოფი“ დაერქვა გვარათაო.

* * *

მოგვყავს კიდევ რამდენიმე ცნობა კავკასიის სამასწავლო მაზრის მზრუნველის უკანასკნელ ცირკულიარიდამ:

კავკასიაში ითვლება სულ 5 საქალებო გიმნაზია და 4 პროგიმნაზია, რომლებშიაც 2,456 ქალი სწავლობს.

— ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტში სულ 76 შაგირდია, ამათგან 46 პანსიონერი და 30 მიმსვლელი.

გორის სამასწავლებლო სემინარიაში სწავლობს 110 ყმაწვილი, ყუბანისაში—104.

— თფ. გუბერნიაში 4 საქალაქო სასწავლებელია; ქუთაისში—2, მთელს კავკასიაში—18. უეზდის სასწავლებელი თფ. გუბერნიაში—2, მთელს კავკასიაში—5.

— კავკასიაში ითვლება სულ 2990 პირველ-დაწყებითი სასწავლებელი. ყველა ამ სასწავლებლებში სწავლობს 67,694 შაგირდი.

* * *

---

ვარ შენი და აი ჩემი ფული, მალე ფეხზე წამოდგები და ისევ მდიდარი შეიქნებიო. ბრუელი უარზეა: კმარა რაც იმდენი ხალხის ფული დავღუპე, ეხლა შენი ერთად-ერთი ჩემი მეგობარის ფულიც ზედ არ დავამატოო! მე არა მაქვს იმედი, რომ შენი ვალი გადვიხადო და ამისათვის არც ავიღებს ფულებსაო!

ჟან ბოდრი ეუბნება, რომ, რადგან ჩემგან არ მიგაქვს ფული, მაშ იმისთანა სიძე უნდა იშოვნო, რომელსაც ბევრი ფული ჰქონდეს და სიძისაგან, რასაკვირველია, მიიღებ რადგან ის თითქმის შენი შვილი იქნება და ყველაფერი განუყოფელიც უნდა გქონდესთ. ამ წინადადებაზე თანხმდება ბრუელი; მაგრამ სად ვიშოვნო იმისთანა სიძეო!?

ეს ადგილი ერთი საუკეთესოთაგანი ადგილია პიესაში: ჟან ბოდრის აქ შეეტყობა, რომ იმას უყვარს ანდრე, მაგრამ ვერ ბედავს ამის წარმოთქმას, რადგან მე ორმოც-და-ექვსის წლისა ვარ და ჩემთვის ამ გვარი ბედნიერება შეუძლებელიაო. მაგრამ ანდრე თვითონ თანხმდება იმის ცოლობაზედ.

შეუძლებელია ისე ხელოვნურად წარმოდგენა, როგორც ჟან ბოდრის როლის მოთამაშემ ბომ გამოხატა თავის აღტაცება, სიყვარული და ბედნიერება: ჯერ არ უჯერის ამ ბედნიერებას, მაგრამ როდესაც დარწმუნდება სიხარულის ცრემლით და თან აღტაცებით მადლობას ეუბნება თავის საცოლოს ამ გვარი ბედნიერების მინიჭებისათვის... აქედგან შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ—რამდენათ დახელოვნებული არტისტი უნდა იყოს ბო, რომ მადლობის წარმოთქმის დროს, რომელიც შესდგება ოცი ოც-და-ხუთი სიტყვისაგან, საზოგადოება სამჯერ გააწყვეტინებს გაცხარებული ტაშით ლაპარაკს, მერმე იმ გვარი დარჩეული საზოგადოება, როგორიც დაესწრო ამ დღეს!

მესამე მოქმედებაში ვტყობილობთ ოლივიერის (თამაშობს ვორმსი) ვინაობას. ჟან ბოდრი ამ გვარად აცნობებს თავის საცოლოს იმას: „ერთს საღამოს, თორმეტი წელიწადი იქნება მას აქეთ, მე დავსეირნობდი პარიჟის ბულვარებზე, უცებ ვიგრძენი, რომ ჯიბეში ხელი ჩააპარა ვიღამაც და ქისას უპირებს ამოღებას. მივბრუნდი, თვალ-წინ მიდგა თორმეტი-ცამეტი წლის ბავში, გამხდარი, ჩაყვითლებული, დაფხრეწილ ტანთსაცმელში. რა ვუყო? დავიჭირო და წავიყვანო საესჯაროში? ესეთი ბავში?!. გადუგდო ფრანკი და მივცე დარიგება? ის აიღებდა ფულს და დარიგებას მიატოვებდა იქვე! გამოვკითხე ვინაობა: არც მამა, არც დედა და ნათესაობა! მე უშვილო, ის ობოლი. გადავსწყვიტე ამეყვანა ეს ყმაწვილი. წავიყვანე შინ, ვასწავლე, ვეცადე იმის ცუდი ხასიათების გასწორება და ეხლა თქვენ თვითონ ხედავთ როგორი კაციც დადგა... ყველანი მეუბნებიან, რათ გიყვარს ისრე ოლივიერი, — შენი შვილი ხომ არ არისო? მე არ მგონია, რომ ნამდვილი შვილი მეყვარებოდა ისრე, როგორც ეს მიყვარს. მე ვარ მამა სულიერი, ის არის ჩემის მიზეზით კაცურ-კაცად გამხდარი... ჩემი გული ორათ არის გაყოფილი: ნახევარი გეკუთვნისთ თქვენ, ჩემგან დაუვიწყარს და ნახევარი ოლივიერს!“

ახლა მიხვდებით, რაში მდგომარეობს საკუთრივ დრამა. გაზრდილი და გამზრდელი ერთი და იგივე ქალის სიყვარულში შეხვდებიან. მეოთხე მოქმედებაში სრულიად გადიშლება და აიხსნება მთელი პიესის დრამმული მოქმედება. ჟან ბოდრი გაიგებს, რომ ოლივიერს უყვარს ანდრე და ანდრეს ოლივიერი, და ის სცენა, სადაც ამ ორ შეყვარებულებთ შორის აიხსნება ყველაფერი, იმდენათ კარგია, რომ არ შემიძლია არ მოვიყვანო:

ოლივიერი. მე მიყვარს ანდრე. მიყვარდა, სანამ გავიგებდი, რომ თქვენ ფიქრობდით იმაზედ. ერთს წამს ვერ გავძლებ უიმისოდ, აი ეს არის ჩემი შეცოდება. ის არის ჩემი ღმერთი, და

ქუთაისიდამ გვაცნობებენ, რომ თ. პელაგია წერეთლისას თავისი „ვეფხვის-ტყაოსანი" ბატ. დ. ი. ყიფიანისათვის მიუცია ამ უკვდავი პოემის რედაქციისათვის გარდასაცემად.

* * *

ჩვენ გვითხრეს სანდო კაცებმა, რომ საჩხერის მცხოვრებელს თ. ა. დავით-ძეს წერეთელს აქვს ხელ-ნაწერი „ვეფხვის-ტყაოსანი", რომელიც ღირსებით და სიძველით თურმე სჯობია თ. პელაგია წერეთლის „ვეფხვის-ტყაოსანს". მივაქცევთ ამაზე პოემის რედაქციის ყურადღებას.

## „დროების" კორრესპონდენცია

ქუთაისი, 19 დეკემბ. „ღია წერილი ბატ. იანოვსკისადმი" და თვით ეს ბატონი ამ უკანასკნელის ორი კვირის განმავლობაში საბჭო საგნად შეიქნა ქუთაისის გონებით მოღვაწის საუკეთესო საზოგადოებისა; ამაზე სჯიან და ბაასობენ არა თუ ზემოხსენებული ნაწილი ჩვენის ქალაქისა, არამედ ისინიც კი, ვისაც ქართული ყველაფერი „ფეხებზე ჰკიდია", ვისაც საქართველოს ბედი შარშანდელს თოვლსავით აწუხებს და სამშობლო მაშინ გაახსენდებათ ხოლმე, როცა ღვინით შეზარხოშებულნი ზაზაშვილის გორიდამ ყანწით ხელში გადმოიხედებიან და „ოჰ, მამულო"-ს დასძახებენ...

მე, როგორც მემატიანეს ამიერ ქუთაისის ცხოვრებისას დანაშაულად ჩამეთვლება, თუ წამკითხველს საზოგადოებას არ ვამცნე ამ გვარი სასიხარულო მოვლენა. „სასიხარულო მოვლენა"-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ზემოხსენებულის წერილისაგან გამოწვეული შთაბეჭდილება, ჩემის აზრით, სწორედ იმისთანა იყო როგორიც, უთუოდ, უნდოდა მოეხდინა თვით „დროების" რედაქციას.......

ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენში და ყველას სამწუხაროთ დარჩა აქაური სახალხო სკოლების დირექტორის ბატ. მარსოვის გადაყვანა. სამწუხაროდ დარჩა იმიტომ, რომ ბატ. მარსოვი მცოდნე იყო ჩვენი ხალხის ენისა, ხასიათისა და ყველას მიუდგომელ კაცად, კარგ პედაგოგათაც მიაჩნდათ.

სხვა-და-სხვა რაღაცაებს ამბობენ ამის გადაყვანის მიზეზებს; მაგრამ ამაზე ლაპარაკს ჯერ-ჯერობით თავი დავანებოთ...

მარსოვს ადგილზედ დაუნიშნავსთ ვიღაც არლოვი, რომელმაც თავის წინა-მოადგილესავით არა თუ ქართული იცის, არამედ მისი ხსენებაც კი, დაცინვით, ღიმილსა ჰგვრისო.....

ჩვენდა სანუგეშოთ, ჩვენ გვყავს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", რომელსაც სწავლების პროგრამმა უგონიერესის პედაგოგიის სისტემითა აქვს შედგენილი და რომლის ნაკლულევანებითაც შესრულებას უკეთესი ნაყოფი ექნება. დავეხმაროთ ყველამ, დიდმა თუ პატარამ, ქალმა თუ კაცმა ამ „საზოგადოებას", ვისაც რით და როგორც შეგვიძლია და მით ღონისძიება მივსცეთ მის უწმინდესის მიზნის შესასრულებლად. ნუ ვიტყვით და არც სათქმელია, რომ ამ საზოგადოებას ზოზინ-წოწინით მიჰყავს თავის საქმე-თქო. ყველამ შეძლების გვარად დავეხმაროთ მას, ყველამ თავიანთი თავი იმის დაულალავ მოქმედ წევრად ჩავთვალოთ და მაშინ ვნახავთ, რომ მისი მოქმედება ზარდანქეშან-ჰაიარის ბიჯით ვიდოდეს წარმატების გზაზედ.

აგერ ერთი კვირაა, რაც აქ ჩამოვიდა თფილისის ტრუპპა და მას აქეთ ოთხი წარმოდგენა გამართა. იმისთანა პიესები, რომელნიც მანდ არ ეთამაშნოთ, რასაკვირველია, არ წარმოუდგენიათ; მაგრამ რაც ნათამაშევი ჰქონდათ, ისინიც ისე ვერ წარმოადგინეს, როგორც მანდ, თფილისში, თამაშობდნენ.

სწორედ გითხრათ, სხვა მიზეზით არ აიხსნება ეს, თუ არ იმითი, რომ ტრუპპას თითქო აიგდო აქაური საზოგადოება, თუმცა ამ უკანასკნელს არავითარი მიზეზი არ მიუცია ასე უკადრისად მოპყრობისათვის: თეატრის ზალა მუდამ გატენილი იყო მაყურებლებით და არც ერთი ღირსეული თამაში არ დაუტოვებიათ დაუფასებლათ.

რაც უნდა იყოს ქუთათელებს მაინც მოეწონათ იმისავან გამართული წარმოდგენები და მოეწონათ იმიტომ უფრო, რომ აქ დიდი ხანია ერთი რიგიანი ქართული სპექტაკლი არ ყოფილა: აქაური ტრუპპა, ჩვენდა სამწუხაროდ, კაი ხანია რაც თითქმის „ტრუპად" გადაიქცა. ეს იყო მიზეზი, რომ ვიღაც ლიუბიმოვ-დერკაჩის ბაზაზხანური „დრამმული ტრუპპა" (*sic!*) კინაღამ დაემკვიდრა აქაურს სცენაზე და, ამბობენ, კიდევ აპირებს ჩამოსვლასაო.

თფილისის ტრუპპის წყალობით, აქაურებს წინინდელზე უფრო აევზნოთ ქართულის თეატრის სიყვარული და იმედია დღე-დღეზე, ასე თუ ისე, მკვდრეთით აღსდგება აქაური ტრუპპა, და გვასიამოვნებს ცხოვრების სარკით, ცხოველის სიტყვით. რასაკვირველია, როგორც მკვდრეთით აღდგენილს შიშველის, ის უნდა იქმნეს გაწმენდილი, ცოდვებ მიხდილი, ესე იგი უბრალო სიტყვებით ვსთქვათ, საჭიროა იმისთანა მოთამაშენი გამორიცხულ იქმნან იქიდამ, რომელთაც წინედ ზარალის მეტი სარგებლობა არა მოუტანიათ-რა, და მაგიერ იმისთანა პირები უნდა შეირიცხონ, რომლებიც ყოველ-მხრივ გამოსადეგნი იქმნებიან სცენისათვის.

ჟ.

## წერილი რედაქტორთან

ბატ. რედაქტორო! შემდეგ ჩემი განცხადებისა, რომ „მიმოხილვაში" აღარ მექნება მონაწილეობა, და მეტადრე, შემდეგ შთურგაულის განცხადებისა, რომ რედაქციაში წარდგენილი სტატიებიც იყო და ნომერიც სდგებოდაო, მე ყოველ მხრიდამ მომდის კითხვა: რა მიზეზით დავანებე ჟურნალს თავი.

მე არ შევეხები სხვა მიზეზთ, რომელთაც სხვათა შორის მაიძულეს გასვლა ჟურნალიდამ და რომლებზედაც ლაპარაკი ძალიან საჩოთიროა; მე მხოლოდ ამას ვიტყვი, რომ ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი იყო სრული უზრუნველობა ჟურნალისათვის ვისდამიც ჯერ იყო, და ამ სიკეთესთან, ჩემს გასვლამდის ვისგანაც ჯერ იყო არ წარდგენილა, ჩემგნით წარდგენილ სტატიებს და მ. ყ. წერილი ლექსების გარდა, რედაქციის განსახილველად არც ერთი სტრიქონი.

შთურგაული ამბობს, რომ სტატიებიც იყოვო წარდგენილი და ნომერიცა სდგებოდაო. თუ ამას გაიმეორებს სხვა სამი პირიცა, რომელთაც რედაქციაში მონაწილეობა მიიღეს განსაკუთრებით სტატიების განსახილველათ (სხვა ამათ არა უკისრიათ-რა არც ზნეობით, არც მატერიალურათ), მაშინ მე ამ შემთხვევაში მტყუანი ვყოფილვარ.

ჩვენ გამოვდიოდით სცენაზედ, უნდა გამოგვეცა ჟურნალი. ამისთვის იყო საჭირო, სხვათა შორის, ფულიც. ფული უნდა შემდგარიყო ხელის-მომწერელთაგან. რომ ხელის-მომწერელი საკმაო ყოფილიყო, ხელის-მომწერლებს უნდა სცოდნოდათ, ვინ არიან მწერალნი, მონაწილენი ჟურნალში. რედაქცია ამას არ აცხადებდა. სჩანდა მარტო ნინა ზაზაევისა—რედაქტორი და გამომცემი. ამ ქალის სახელი პირველად ესმოდა საზოგადოებას. მაშასადამე ამისი ნდობა არ იყო. დარჩა ჩვენ იმედათ მარტო ისა, რომ გამოვიდეს პირველი ნომერი ისე შემდგარი, რომ ამითი მაინც მივიზიდოთ მკითხველი და ხელის-მომწერელი, და ნომერიც უნდა დროით გა-

---

მინდა გამოგგლიჯოთ თქვენ ხელიდამ! ვიცი, რომ ცუდ საქმეს ვშვრები, მაგრამ თქვენ ეხლა ოლივიერი კი არ გებაასებად, არამედ ერთი ჭკუაზედ შემცდარი კაცი!.. მომკალით, თუ თქვენი სურვილია... მე ის მიყვარს! არავინ და არაფერი აღარ სუფევს ჩემთვის ქვეყნიერებაზე!. არც გამზრდელი, არცა მამა, შვილი—არავითარი მოვალეობა. აქ არის მარტო ყმაწვილი კაცი...

ჟან ბოდრი. ააჰ!.. დიახ.

ოლივიერი. ყმაწვილი კაცი და ქალი, და სიყვარული, რომელიც ყველაფერს ჰფლობს!

ჟან ბოდრი. ყმაწვილი კაცი, დიახ! მე ველოდი შენგან ამ სიტყვას! მართალია, შენა ხარ ყმაწვილი, ყველაფრით სრული, შენი სახელი კარგათ გაისმის საზოგადოებაში ყველანი პატივსგცემენ, გელტვიან ბევრნი ახალგაზდა ქალები... და შენ ამ დროს მე მართმევ ანდრეს, რომელიც ერთად-ერთ ვარსკვლავად გამოჩნდა ჩემთვის, მართმევ ერთად-ერთს ჩემს ბედნიერებას და მღუპავ! არაფერი გაბრკოლებს ამ გვარ მოქმედებაში, არც ჩემი მომავალი და არც შენი წარსული... ოოჰ... აი როგორ მადლობას ვიღებ შენგან ჩემის შრომის ფასად! არაფელს არ უტოვებ იმას, ვინც შენ ყველაფერი გადმოგცა... ყმაწვილი კაცი? სთქვი! რა კაცი იქმნებოდი შენ უჩემოდ? ზაბედავდი შეგხედნა პირ-და-პირ ანდრესათვის? ზაბედავდი იმასთან მიახლოვებას, რომ მე იქ დამეტოვებინე, სადაც პირველად შეგხედი? დიახ! ახლა შენ ლამაზიც ხარ, სწავლულიც, მჭევრ-მეტყველიც! საზიზღარო! ყმაწვილი კაცი! დიახ, შენ ყმაწვილი ხარ, მე კი ორმოცდა-ექვსის წლისა და შენ ამბობ: ვიომოთ, საქმე ჯობნაზეაო!. ძალიან კარგი! თანახმა ვარ, ვიომოთ! მაგრამ მოდი მარტო შენი სიყმაწვილით, გაიხადე ეგ ტანთსაცმელი, რომელიც მეკუთვნის მე და ჩაიცვი ისევ შენი დაფრეთილი კონკები!. მაშვინ ვნახოთ!!

აქ როგორც ვეფხვი ისე დაეტაკება ოლივიერი—მორმსი ჟან ბოდრის, რომ შეურაცხყოფისათვის შეურაცხყოფა მიაყენოს; მაგრამ შეჩერდება და მწარის ღიმილით ეთხოვება თავის ჰამზრდელს:

— დამითმია თქვენთვის ანდრე! ის თქვენ გეკუთვნით, მე კი დავივიწყებ ყველაფერს, რაც ჩემთვის მოგიცია-თ, ზრდილობას, სწავლას! ჩავიცვამ ისევ ჩემს კონკებს და ისევ ქუჩის მატანტალათ გავხდები!

პიესა თავდება იმით, რომ ჟან ბოდრი დარწმუნდება თავის უბედობაში, მიხვდება, რომ ქალს არ უყვარს ის და რომ შეირთოს ორივენი უბედურნი იქნებიან და ამ მოსაზრებით, შაირიგებს ოლივიერს და გადასცემს იმას ანდრეს!

როგორც ხედავთ, თვითონ პიესა მორალურია: მდიდარს თუ შეგხვდეს ღარიბი, აიყვანე, გამოზარდე და ნურაფერს დაიშურებ იმისათვისო. პიესის ნაკლულევანება მდგომარეობს იმაში, რომ შეუძლებელია ისეთს პირს შეხვდეს კაცი ცხოვრებაში, როგორც ჟან ბოდრია,—ავტორის იდეალი?

მაგრამ თვითონ პიესა იმდენი არ არის-რა, როგორც თამაში ზო და ვორმსისა. რა სანახავია! რა ნეტარებას გრძნობს კაცი, როდესაც ამათ თამაშს ხედავს. განსაკუთრებით ზო: კეთილშობლური სახე, დინჯი მიხვრა-მოხვრა, კეთილი ღიმილი, სიხარულის გამოხატვა; მერე ტანჯვა, თავის უბედურ მდგომარეობის გამო,—ყველა ამ სხვა-და-სხვა გვარ გრძნობების გამოხატვა, დამეთანხმეთ, ძნელია, მაგრამ ზოსათვის თეატრზე არავითარი გრძნობის გამოხატვაში სიძნელე არ სუფევს...

კოტე მესხი.

პარიჟი, 12 დეკემბერს.

მოვიდეს, რომ ამითი გავაღვიძოთ საზოგადოებაში ნდობა;—გამოდგა, რომ აქაც არა ვართ მზათა. ისმის მარტო: მოიცა! როდემდის? ორი წელიწადი ვიცადეთ, ნუ თუ არა კმაროდა?

ანტონ ფურცელაძე.

# განცხადებანი

ლონდონის მაღაზსაშიდ კომერციული ბანკის ქვემოთ: საზამთრო ქუდები 2 მ. კარვები 4 მ. და 50 კ. ბავშვების წინდები, სტაქნები, საჩაეები და სხვ. ძლიან იაფათ ისყიდება. 10—3

მთელი ტანისამოსი ანუ პალტო—15 მანეთად. რევოლვერები—4 მანეთიდამ, ხველის კანფეტები გირვანქა 60 კაპ. ქინაქინის ღვინო და ხილის მარილი ციებისათვის—1 მან. და 50 კაპ. ხერესი და პორტ-ვეინი—1 მან. 20 კაპ. ინგლისის მაღაზიაში. 10—3

მიღებულია ჩაი, პირველი მოსავლისა, რევოლვერები, საჩაეები, კამფეტები, მურაბები და სხვ. და სხვ. 25 პროცენტით ნაკლებ იყიდება მინამ სადმე სხვაგან — ინგლისურ მაღაზიაში არწრუნის გალერეიაში. 12—4

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ჰიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, ვემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შიოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—7)

ტფილისში

# შავერდოვის გაზეთის სააგენტო

(გოლოვინის პროსპექტი, ალექსანდროვის ბაღთან, შავერდოვის პავილიონში.)

დაიწყო ხელის-მოწერის დრო 1881 წლისათვის

ყველა დრო-გამოშვებითი გამოცემაებზე რედაქციისგან გამოცხადებულ ფასებით: ადგილობრივზე, რუსულზე და სამზღვარ—გარეთისაზე.

ბ.ბ. ქალაქ გარეშე მცხოვრებელთ ამ ადრესით უნდა ინებონ მომართვა: Въ Тифлисъ, въ газетное агентство В. Шавердова. 25—23

წარმატებაზე უკეთესი არა არის-რა, ამაზედ შეიძლება დარწმუნდეს ყველა ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის გალერეიაში, სადაც მიღებულია დიდძალი ჩაი 1 მოკრებისა, შოკოლადი, კაკაო ფრეისა და სხვა საქონელი: ქინის ღვინო და ხილის მარილი ციებისათვის; ხველების კანფეთები და სხვ. აგრეთვე დანა-ჩანგალი, ახალის სისტემის თოფები და სხვ. 15—10

# შემთხვევით

რადგან ინგლისის მაღაზია სასმელეულით ვაჭრობას თავს ანებებს, ამის გამო ახლა ისყიდება: პირველის სორტის 3 წლის ხერესი და პორტვეინი ბოთლი 1 მან. და 50 კაპ., ძალიან კარგი 1 მან. და 20 კაპ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. იქვე ისყიდება 5,000 ფადნოსი და გასალებები 8 კაპ., ინგლისის რევოლვერი 4 მანეთიდამ 35 მანეთამდის, საუკეთესო ტარიელკები 2 მან. დუჟინი, პალტო და მთელი ტანისამოსი 15 მან. და სხვ. 10—20

პატენტიანი შრიტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრება 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში. (100—69)

# ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

შეადარეთ ჩვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| — | — | —1—20 | | — | —1—60 |
| — | — | —1—40 | | — | —1—80 |
| — | — | —1—60 | | — | —2— „ |
| — | — | —1—80 | | — | —2—50 |
| საუკეთესო | —2— „ | | | — | —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კროტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—72)

შენიშნვა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ეხლა 2 მანეთად დის. (100—87)

ტფილისის ქველ-მოქმედ საზოგადოების ჭრისა და კერვის

# სკოლაში

იღებენ საკერავს დასაჭრელად, დასანიშნად და შესაკერავად საქალებო სხვა-და-სხვა ტანსაცმელებს; იქვე ალებულ ზომით ამზადებენ [illegible] მოდის ფასონების თარგებს (ვიკრიკებს) ძალიან ხელ-მისაცემ ფასად. ვისაც ჭრისა და დასანიშნის (სმეტკა) შესწავლა სურს უახლესს მეთოდით სკოლაში ხაზვითა, იმას საგანგებოთ დანიშნულ დროზედ ასწავლიან ამ მეთოდს. ფულის სრული შემოსავალი სკოლის გასაუმჯობესებლად გადიდება. დაწვრილებითი ამბავი შეიტყობა სკოლაში არსენალის ქუჩაზე, სახლი № 33. (3—3)

С 1-го января 1881 г., въ С.-Петербургѣ будетъ издаваться

БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ

# „ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛЪ“

въ которомъ примутъ участіе слѣдующіе художники: М. Боткинъ, П. Боюлловъ, В. Верещагинъ, В. Васнецовъ, А. Куинджи, И. Крамской, баронъ М. П. Клодтъ, Л. Лагоріо, К. Лемохъ, А. Ленскій (артисть мсковскихъ императорскихъ театровъ), В. Маковскій, В. Масаловъ, А. Мещерскій, В. Перовъ, В. Полѣновъ, И. Рѣпинъ, К. Савицкій, Суриковъ, И. Шишкинъ, Шишковъ и А. Шарлеманъ.

Приступая къ изданію совершенно новому по характеру, считаемъ догломъ колько объясниться съ читателемъ. Если кто думаетъ, что художественный журналъ—что то научное, сухое, спеціальное, тотъ ошибется, подводя наше изданіи подъ эту категорію. Ничего особенно научнаго, ничего сухого, спеціальнаго, ни даже систематичискаго курса исторіи искусства редакція предлагать своимъ читателямъ не намѣрена. Для науки, для исторіи искусства существуетъ академія, существуютъ университетскія каѳедры, наконецъ отдѣльныя спеціальныя сочиненія, цѣлыя библіотеки; наша же задача—это искусство въ той живой органической связи съ интересами общества, которыя составляютъ насущную потребность каждаго мыслящаго и развитаго человѣк

При такой задачѣ программа журнала заключается въ слѣдующемъ; 1) Беллетристическій отдѣлъ: повѣсти, разсказы, сцены и т. п. по преимуществу изъ жизни русскихъ художниковъ. Біографія художниковъ (въ повѣствовательной формѣ), а также и замѣчательныхъ дѣятелей въ искуссвѣн. 2) Критическій отдѣлъ: критическія статьи по искусству. Художественный фельетонъ. Рецензіи и критическія замѣтки, касающіяся, какъ художественныхъ произведеній, такъравно и книгъ по искусству. 3) Смѣсь. Теоретическія и практическія указанія и совѣты какъ художникамъ, такъ и любителямъ. Обзоры дѣятельности русскихъ художественныхъ обществъ и школъ, существующихъ въ Россіи Разныя мелкія замѣтки, извѣстія и слухи. 4) Послѣдняя страница. Справочный отдѣлъ, въ который войдутъ по преимуществу отвѣты на запросы публики и художниковъ. 5) Приложеніе: «художественый альбомъ».

«Художественный альбомъ» будетъ состоять изъ двухъ отдѣловъ. 1) рисунковъ и портретовъ въ форматѣ самаго журнала и 2) картинъ въ форматѣ большаго альбома.

Практикующаяся во всѣхъ періодическихъ гравюра изданіяхъ на деревѣ оказывается для исполненія художественныхъ произведеній въ большинствѣ случаевъ вполнѣ несостоятельной; вслѣдсвіе чего всѣ рисунки и портреты въ «Художетвенномъ Журналѣ» будетъ исполнены посредствомъ фотолитографіи, фотогравюры и гравюры на мѣди (офортъ).

Журналъ будетъ выходить ежемѣсячно въ форматѣ большой книги отъ трехъ до четырехъ листовъ.

Годовые подписчики получатъ журналъ съ приложеніемъ, каторое будетъ состоятъ изъ 20 или 24 оригинальныхъ рисунковъ и портретовъ, прилагаемыхъ ежемѣсячно при журналѣ и отдѣльнаго болшаго альбома, который данъ будетъ въ видѣ преміи въ концѣ года. Полугодовые подписчики получатъ журналъ съ рисунками и портретами, но безъ преміи.

Цѣна журнала съ приложеніемъ, съ пересылкой и доставкой на годъ 6 руб. и на полгода—4 руб; безъ приложенія на годъ 3 руб. и на полгода 2 руб.

Въ 1-мъ номерѣ въ беллетристическомъ отдѣлѣ будутъ помѣщены „Воспоминанія и характеристики: 1) В. В. Верещагинъ во время войны“—В. И. Немировича-Данченко; въ критическомъ отдѣлѣ. „Талантъ А. И. Куинджи и значеніе этаго таланта для русскаго искусства.“ Обзоры выставокъ и смѣсь. Въ приложеніе къ первому войдутъ: портретъ съ факсимилэ А. И. Куинджи и новая картина В. Маковскаго „*à quatre mains*“

Подписка принимается: въ Петербургѣ—въ конторѣ редакціи, на углу Невскаго и троицкаго (подъѣздъ съ Троицкаго), д. Ростовцева, кв. № 24; въ книжн. магазинахъ «Нов. Времени» и Мамонтова, на Невскомъ, и въ эстампныхъ: Фельтена и Бегрова, на Невскомъ; въ Москвѣ, въ книжныхъ магазинахъ: «Новаго Бремени», на Никольской; Мамонтова, на Кузнецкомъ мосту и въ эстапныхъ: Доціаро, на Кузнецкомъ и Осберга на Петровкѣ.

Гг. иногородные благоволятъ адресоваться исключттельно въ контору редакціи. Петербургъ, уголъ Невскаго и Троицкаго, домъ Ростовцева.

Редакторъ-издатель Н. АЛЕКСАНДРОВЪ.

(3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ 20 Декабря 1880 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი